

შპს „სპორტ სალერ ცენტრი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასახელება	2018	2019
მიმდინარე აქტივები	985 861,64	1 303 824,18
ნაღდი ფული	6 810,39	123 821,13
სავაჭრო მოთხოვნები	518 268,69	617 252,26
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	284 033,38	327 269,75
საგადასახდო აქტივი	2 032,01	9 364,81
მისაღები პროცენტი	174 717,17	226 116,23
გრძელვადიანი აქტივები	280 475,11	290 700,17
არამატერიალური აქტივები	3 573,05	3 037,03
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	-535,92	-491,75
ძირითადი საშუალებები	25 852,66	33 725,89
ძირითადი საშუალებების ცვეთა	-5 414,68	-2 571,00
გაცემული გრძელვადიანი სესხი	257 000,00	257 000,00
სულ აქტივები	1 266 337	1 594 524
კაპიტალი	-311 697,79	-123 812,89
სარეზერვო კაპიტალი	0,00	0,00
საწესდებო კაპიტალი	0,00	0,00
აკუმულირებული მოგება-დაუფარავი ზარალი	-43 652,99	-311 697,79
მიმდინარე მოგება-ზარალი კ/ზ	-268 044,80	187 884,90
ვალდებულებები	1 578 034,54	1 718 337,24
მიმდინარე ვალდებულებები	1 313 834,54	1 454 137,24
სავაჭრო ვალდებულებები	1 028 047,24	1 183 162,12
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	55 000,00	0,00
საგადასახდო ვალდებულებები	0,00	0,00

შპს „სპორტ სალერ ცენტრი“

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

დარიცხული ვალდებულებები	230 787,30	270 975,12
გრძელვადიანი ვალდებულებები	264 200,00	264 200,00
გრძელვადიანი სესხი	264 200,00	264 200,00
სულ ვალდებულება და კაპიტალი	1 266 337	1 594 524

შპს „სპორტ სალერ ცენტრი“-ს
დირექტორი გიგლა კალანდაძე



2019 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრულის შემოსავლის ანგარიშგება

დასახელება	2018	2019
შემოსავლები	614030,5	984309,22
შემოსავალი რეალიზაციიდან	614030,5	984309,22
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-415251,7	-712619,01
საერთო მოგება	198778,8	271690,21
სხვა საოპერაციო შემოსავალი	10976,59	193313,76
შემოსავალი სესხიდან	51399,06	51399,06
საოპერაციო და ადმინისტრაციული დანახარჯები	-271874,29	-231598,72
სესხის პროცენტი	-65492,05	-61518,13
ცვეთა და ამორტიზაცია	-6029,37	-3062,75
სულ საოპერაციო ხარჯები	-281020,06	-51466,78
საოპერაციო მოგება	-82241,26	220223,43
ზარალი საკუროსო სხვაობიდან	-185803,54	-32338,53
მოგება გადასახადამდე	-268044,8	187884,9
მოგების გადასახადი	0	0
წმინდა მოგება	-268044,8	187884,9

შპს „სპორტ სალერ ცენტრი“-ს
დირექტორი გიგლა კალანდაძე



2019 დასრულებული წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები და დაფინანსება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2017 წ.			-43652
ცვლილება საწესდებო კაპიტალში			0
პერიოდის მოგება/ზარალი	-268045		-268045
31 დეკემბერი, 2018 წ.			-311697
ცვლილება საწესდებო კაპიტალში			
პერიოდის მოგება/ზარალი	187884		187884
31 დეკემბერი, 2019 წ.			-123813

შპს „სპორტ სალერ ცენტრი“-ს
დირექტორი გიგლა კალანდაძე



ზოგადი ინფორმაცია

შპს „სპორტ სალერ ცენტრი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2012 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართი არის: საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, ი.ნიკოლაძის შეს., №2/4, ბ. 30

შპს „სპორტ სალერ ცენტრი“ არის სპორტული ტანსაცმლის და აქსესუარების, ტრენაჟორების საცალო მოვაჭრე, დაარსებული საქართველოში. იგი გაყიდვებს ახორციელებს ერთი მაღაზიის მეშვეობით. კომპანია თავის მომხმარებლებს სთავაზობს პროდუქტების ოპტიმალურ კომბინაციას, დამხმარე მოწყობილობებსა და სერვისს.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის ბოლოსთვის მხარეებს შორის განსაზღვრული აქციები მოცემულია ცხრილში:

	2019	2018
თამარ გვაზავა	33.33%	33.33%
მადონა თამაზაშვილი	66.67%	66.67%

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საუბველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

განცხადება შესაბამისობის შესახებ

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის“ (მსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად.

საქართველოში რეგისტრირებული კომპანია საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერებს აწარმოებს მასს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად. უნდა ჩაითვალოს რომ ზემოდ ხსენებულ სტანდარტზე კომპანია გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერების საფუძველზე. კომპანია თავის ოქმების კრებულებსა და ჩანაწერებს აწარმოებს ქართულ ლარში და ასევე ქართულ ლარში აწარმოებს ფინანსურ ანგარიშგებებს.

ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „კონვერტაციის ხარჯი“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი: საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	31-დეკ-19	31-დეკ-18
1 USD/GEL	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	3.2095	3.0701

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. სხვა მწარმოებლებზე ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და დღგ-ს გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული შემოსავლები/დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული შემოსავლები/დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას. რაც შეეხება გადავადებულ გადასახადს, მის სტანდარტებზე გადასვლის თარიღიდან, 2017 წლის 1 იანვარისთვის უკვე მოქმედებდა ესტონური მოდელი რომლის შინაარსიდან გამომდინარე დროებითი სხვაობა აღარ წარმოიშობა

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით, თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას.

ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. შპს „სპორტ სალერ ცენტრი“ არ ფიქსირდება ფინანსური იჯარა კომპანიაში ფიქსირდება ჩვეულებრივი იჯარა. იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

საქონლის მიღება ხდება საინვოისო ღირებულებით რომელსაც ემატება ტრანსპორტირებისა და დასაწყობების ხარჯები. პერიოდის ბოლოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება. სავაჭრო ვალდებულებების კორექტირება აისახება კორექტირების თარიღით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავაჭრო უცხოურ ვალუტში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულებში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებულის სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამსრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამსრჯელოების ვალდებულება განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ერთჯერადად დაქირავებულის მომსახურეობის ანაზღაურების ღირებულება განისაზღვრება ჩატარებული სამუშაოების მიღება ჩაბარების აქტის ან გასავლის ორდერის მიხედვით. გასავლის ორდერში მითითებულია შესრულებული სამუშაო და ღირებულება და თანხის მიღება. ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი დასტურდება შესაბამისი ხელმოწერებით.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები კომპანიას არ უფიქსირდება

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა

შპს „სპორტ სალერ ცენტრი“-ს

დირექტორი გიგლა კალანდაძე



